

2010 წლის 22 თებერვალს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო პროექტის “ლაზური ტექსტების ელექტრონული არქივი” (ავტორი სოფიკო ბერულავა) პრეზენტაცია.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა მუშაობის შედეგები, ფოტო და ვიდეო მასალა.

ლაზური ტექსტები ჩაწერილია თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ვილაიეთის ხოფის, ბორჩხის და არხავის ილჩეებში და რიზეს ოლქში: ფინდიქლში (ვიწე), არდაშენსა და ფაზარში (ათინა). შესაბამისად, ტექსტები წარმოადგენს სამივე კილოკავის (ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური) მეტყველების ნიმუშებს.

ჩაიწერა და გაიშიფრა 10 თითოსათიანი კასეტა. მოპოვებული მასალა გადატანილია ელექტრონულ მატარებელზე. ტექსტებს ახლავს სიტყვასიტყვითი თარგმანი.

ტექსტების უმეტესი ნაწილი გაბმული მეტყველების ნიმუშებია _ თხრობა, დიალოგი. ტექსტების თემატიკა მრავალფეროვანია: მოიცავს ძველი წეს-ჩვეულებების, ტრადიციების და რიტუალების აღწერას: ქორწინება და მასთან დაკავშირებული ტრადიციები; სიყვარულის ისტორიები; ბავშვობის მოგონებები; თამაშობები; რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომი პერიოდის ცხოვრების აღწერა; ნადირობა, თევზჭერა, კულინარია. მასალაში უხვადაა ტოპონიმებიც.

ტექსტები ჩაწერილია თურქეთში მცხოვრები ლაზებისგან. რესპოდენტები ძირითადად უხუცესები და საშუალო ასაკისანი არიან, რომელთაც შედარებით კარგად იციან ლაზური, თუმცა ყოველდღიურ ურთიერთობაში თურქულს იყენებენ.

მოპოვებულ მასალაში წარმოდგენილი დიალექტური ნიმუშები საშუალებას იძლევა ენობრივი ტენდენციების და ცვლილებების შეფასებისა. თემატურად მრავალფეროვანი მასალა საინტერესოა არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტუროლოგიური, ისტორიული, ეთნოლინგვისტური თვალსაზრისითაც.

ლაზური მასალის ნაწილი განთავსდა დიალექტური ტექსტების კორპუსში (იხ. [http:// server.itex.ge/gdc](http://server.itex.ge/gdc)). მიმდინარეობს მისი ეტაპობრივი ინტეგრირება.

ნიმუში:

ჩამწ. მუ დარამაზლულეფე იქუმტით, ჰიმუში მიწვი?

რა ეშმაკობებს აკეთებდით, იმაზე მითხარი?

ოსმ. დარამაზლულეფე, ოსთერუ ჩქუნი. ოხოიშა დიდო ორდო ვარ მაბულურტით. მწკუფუტაშა ოხოშა ვარ მაბულურტით. ჰაწინედი ბერეფე ოხოშენ ვარ გამულუნან, ბილგისადარი ნუხენან. ჩქუნ ოხოშა ვარ ამობულურტით, გალე ბისტერტით. გალე ოსტერონი ბერობა ჩქიმის დიდო მუთხანეფეთი ვარ ტუ. რიკი ბისტერტით, იშთე, ოტკვაცინონი ბიქომტით, ოხარხალონი ბიქომტით. ჩხვაფურას რტატუკო ბულუტით ღალეფეს, ზულას ომჩვირუ ბიმჩვირტით, ჩხომი პქოფუმტით. ოხოშენ ტკობინეა ბიმტეტით, მითის ვა ბუჩქინამტეშა ბიმტეტით, ვა მოშქვანოონდა დო სეა ლუმჯუმა გალე ბისტერტით. იშთე, ჩხომი, ღალეფე ჩხომი პქოფუმტით. ჩქიმი ნანაშკელე ოფუტეშე ბიდატიში, გიდრევაი რტუ ნანაჩქიმი, ჰექ დულუტით, ჰექ ღალის ჩხომი პქოფუმტით. ჰექ მობულუტით, ჰექ ზულას ჩხომი პქოფუმტით. ინორას კინჩიში რაგიფე ბიქომტით ბერობა ჩქიმის. კინჩიში რაგეფეთენ კინჩის პქოფუმტით, ჰემუთე, რაგითე.

ცელქობები, თამაში ჩვენი. სახლში ძალიან ადრე არ მივდიოდით. დაღამებამდე სახლში ამ მივდიოდით. ახლანდელი ბავშვები სახლიდან არ გამოდიან, კომპიუტერს უზიან. ჩვენ სახლში არ ამოვდიოდით, გარეთ ვთამაშობდით. გარეთ სათამაშო ჩემს ბავშვობაში ბევრი რაღაცები არ იყო. რიკტაფელას ვთამაშობდით. აი, სასროლს (ოტკვაცინონი) ვაკეთებდით, სახმაუროს (ოხარხალონი) ვაკეთებდით. სიცხე რომ იყო, მივდოდით ღელეებზე, ზღვაში საბანაოდ, ცურავდით, თევზს ვიჭერდით. სახლიდან მალულად გავრბოდით. არავინ რომ არ იცოდა, ისე გავრბოდით, არ გაგვიშვებენო და გვიან საღამომდე გარეთ ვთამაშობდით. ისე, თევზს, ღელეებში თევზს ვიჭერდით. დედაჩემთან სოფელში რომ მივდიოდი, გიდრევიდან (სოფ. არქაბში) იყო დედაჩემი, იქ ჩავდიოდით. იქ ღელეში თევზს ვიჭერდით. აქ მოვიდოდით, აქ ზღვაში თევზს ვიჭერდით. ზამთარში ჩიტის ხაფანგებს (კაკანათს) ვაკეთებდით ჩემს ბავშვობაში. ჩიტის ხაფანგებით ჩიტებს ვიჭერდით, იმით, ხაფანგით.





თუ ის მზე დასვდა, დასერი მისი იყო.
თუ „ბოლომდე“ ვაჩვენებ, და,
ქვეა ის დაცვის ყოველზე, დასერი მისი
ქვე - აგრძობა ყოველზე.

ს. ლეონიძის სიტყვა, არის დასერი ქვე-
ყველზე, „ბოლომდე“ არ აჩვენებს, და
მისი მისი ვაჩვენებ, დასერი მისი და
აგრძობა იყო - ეს ყოველზე ყოველზე.

სიტყვათა მისი სიტყვა